

“საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი: პრობლემები და პერსპექტივები”

ამა წლის 28 მარტს, ქ. თბილისში არასამთავრობო ორგანიზაცია “პარტნიორობა სოციალური ინიციატივებისათვის” ჩაატარა კონფერენცია სახელწოდებით:

“საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი: პრობლემები და პერსპექტივები”

კონფერენციის თანაორგანიზატორები იყვნენ: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს გაეროს ასოციაცია. კონფერენცია მიზნად ისახავდა შეეჯამებინა ის გამოცდილება, რომელიც დაგროვდა ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებიდან გასული ორი წლის განმავლობაში, განეხილა პრობლემები, რომლებიც გამოიკვეთა და შეძლებისდაგვარად, დაესახა მათი აღმოფხვრის გზები. კონფერენციაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული და ბიზნეს ასოციაციები, სათემო ორგანიზაციები, მოსამართლეები, ჟურნალისტები და სხვა. მონაწილეთა უმრავლესობა უშუალო შეხებაში იმყოფებოდა ზაკ-თან, ნაწილი იღებდა მონაწილეობას მის შექმნაში, ნაწილი ახორციელებს იმპლემენტაციის აქტიურ მონიტორინგს, აშუქებს დანერგვის პროცესს და სხვა.

კონფერენციამ დაგვანახა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორც ადმინისტრაციული ორგანოებიდან (აო) ინფორმაციის მოპოვებისას, ასევე გადაწყვეტილების პროცესში მონაწილეობის მიღების მცდელობისას.

თუ ჩვენ შევეცდებით დავაჯგუფოდ არსებული პრობლემები მივიღებთ შემდეგ სურათს:

1. კანონი. ყველა გამომსვლელი პრინციპში იზიარებს იმ აზრს, რომ კანონი მთლიანობაში მაღალი დონის იურიდიული დოკუმენტაციაა. მიუხედავად ამისა არსებობს პრობლემათა რიგი, რომელიც სათავეს კანონმდებლობაში იღებს. მაგალითად, პროფესიული და კომერციული საიდუმლოს ცნების დეფინიციის პრობლემა.
2. აო-ს შიდა მენეჯმენტის პრობლემები. დაწყებული მოხელის ცოდნით და სწორი მოტივირებით, დამთავრებული საჭირო ტექნიკის არსებობით. ამის ერთ-ერთი შედეგია ის, რომ ირღვევა პასუხების გაცემის ვადები, ხოლო გაცემული ინფორმაციის ხარისხი ძალიან დაბალია.
3. საზოგადოების პასიურობა. გამომსვლელი ერთხმად არნიშნავდნენ საზოგადოების პასიურობას კანონში დაცული უფლებების განხორციელებისას, ამას განაპირობებს მთელი რიგი მიზეზები, როგორცაა: საკუთარი უფლებების არ ცოდნა, უიმედობა, დროის სიმცირე და სხვა. ამასვე უკავშირდება სასამართლო

შემთხვევების მოულოდნელი სიმცირე. ამ მიმართულებით აქტუობას იცენს მხოლოდ მას-მედია და არასამთავრობო სექტორი.

კონფერენციის მასალები მოწმობს, რომ ზაკ-ის აღსრულების სურათი დედაქალაქსა და რეგიონებში საკმაოდ განსხვავებულია. თუმცა მთლიანობაში სურათი არადამაკმაყოფილებელია ყველგან, სხვაობა მაინც მნიშვნელოვანია: თბილსიში აღინიშნა უმნიშვნელო დადებითი დინამიკა (უმსხვილესი აო-ების დონეზე), რეგიონებში სურათი არ შეცვლილა, ხოლო ზოგან გაუარესდა კიდევ. კონფერენციამ დაგვანახა, რომ მას-მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში იმყოფება აო-დან ინფორმაციის მოპოვების საკითხი. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა - გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობა მეორე პლანზეა გადასული, რაც არ შეესაბამება ამ საკითხის მნიშვნელობას საზოგადოებისათვის (ამ საკითხს აქტიურად მხოლოდ PSI განიხილავდა).

კონფერენციის მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები არსებული პრობლემების დაძლევის გზებზე.

PSI-ს აზრით სასურველია აო-ბმა შეიმუშაონ მათი საქმიანობით დაინტერესებული ბიზნეს, პროფესიული თუ სათემო ორგანიზაციების აკრედიტირების სისტემა, ანუ შექმნან დაინტერესებულ პირების რეესტრი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ ავტომატურად დაუგზავნონ შეტყობინება დაინტერესებულ პირებს ახალი ადმინისტრაციული აქტების მომზადების შესახებ. ეს მიშვნელობნად გაუადვილებს დაინტერესებულ პირებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას და ხელს შეუწყობს კომუნიკაციას აო-ს და საზოგადოების შორის.

ამავე დროს სასურველია ზაკ-I ითვალისწინებდეს არბიტრაჟის, როგორც ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტის საშუალების არსებობას. ორივე მოსაზრება გაიზიარა დამსწრეთა უმრავლესობამ.

საერთო აზრით, მას-მედიას და არასამთავრობო ორგანიზაციებს არა აქვთ უფლება შეასუსტონ თავიანთი ძალისხმევა, განსაკუთრებით საზოგადოების საერთო პასიურობის ფონზე.

საჭიროა აქტიური მუშაობა საზოგადოების პასიურობის დაძლევის მიზნით. აუცილებელია გაგრძელდეს ზაკ-ის განხილვა-პროპაგანდა. მაგალითად, მას-მედიის საშუალებით მიეწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, მიეწოდოს ზაკ-ის გამოყენების დადებითი მაგალითები და სხვა. მონიტორინგმა აჩვენა, რომ აო-ში მომუშავე მოხელეებისათვის პრეზიდენტის ბრძანებულება უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე კანონში დაცული ნორმა. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, სასურველია მაქსიმალურად აქტიურად გამოვიყენოთ პრეზიდენტთან (ზუსტი სახელი) არსებული საბჭოს შესაძლებლობები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია საზოგადოებამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მას-მედია და სახელმწიფო სტრუქტურებმა განაგრძონ აქტური საქმიანობა კოდექსის შემდგომი დახვეწის პროპაგანდის და აღსრულების მონიტორინგის მიმართულებით, რადგან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დანერგვა და განუხრელად აღსრულება შეცვლის მმართველოს სტილს ქვეყანაში.